ხელშეკრულება # 1

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.რუსთავი

ერთის მხრივ **სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ.რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ნინა ნაჭყებიას** სახით (შემდგომში "შემსყიდველი")და მეორეს მხრივ **შპს „საქართველოს კავშირგაბმულობის კორპორაცია"**(შემდგომში„მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ნანა შარაშენიძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]"ქვეპუნქტის საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვა) დებენ შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1. **ციფრული სატელეფონო სადგურის საშუალებით სატელეფონო და ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტ მომსახურება სააბონენტო ნომრებზე. 0341 25 68 60 და 25 68 10 - 2020 წლის განმავლობაში.**

1.2. **ლიმიტის ღირებულება 2021 წლისთვის შეადგენს სატელეფონო მომსახურებაზე 600 (ექვსასი), ინტერნეტ მომსახურებაზე 600 (ექვსასი), სულ - 1200 (ათას ორასი) ლარი.**

(CPVკოდი 64200000-სატელეკომუნიკაციო მომსახურება; (CPV კოდი 72400000ინტერნეტ.მომსახურება)

ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ერთ სატელეფონო ხაზზე შეადგენს : საბიუჯეტო ორგანიზაციაზე 4 (ოთხ) ლარს.

ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი ერთ ინტერნეტ პაკეტზე შეადგენს 50 ლარს (10 მ/ბ). ინტერნეტ მომსახურების პარამეტრები, მომსახურების ტიპისა და პაკეტების შესახებ ინფორმაცია იხ. დანართის სახით (დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

1.3. აბონენტთა დამატებითი მომსახურება (დეტალური ინფორმაცია, ზარის გადამისამართება, კონფერენცია და ა.შ.) ხორციელდება კორპორაციის მიერ დადგენილი ტარიფების მიხედვით. დეტალური ინფორმაცია შესრულებული სატელეფონო კავშირების შესახებ გაიცემა მხოლოდ აბონენტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

1.4. საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილური კავშირებისთვის გამოყენება წუთობრივი ანაზღაურება იმ კომპანიების ტარიფების შესაბამისად, რომელთ მეშვიეობითაც ხორციელდება კავშირები. ადგილობრივი სატელეფონო კავშირები უფასოა.

1.5 კორპორაცია იტოვებს უფლებას შეცვალოს ზემოთ აღნიშნული გადასახადები /ტარიფები და დააწესოს გადასახადი ადგილობრივ სატელეფონო კავშირებზე, რომლებიც გამოწვეული იქნება სატელეფონო მომსახურების თვითღირებულების ცვლილებისა და იმ კომპანიების მიერ ახალი ტარიფების დაწესების გამო, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კავშირები. არნიშნული ცვლილებების შესახებ აბონენტი გაფრთხილებული იქნება ავტომოპასუხის საშუალებით. თუ აბონენტი ამგავრი ინფორმაციის მიწოდებიდან 30 დღის განმავლობაში თანხმობას განაცხადებს ხელშეკრულების ახალ პირობებზე (გააგრძელებს მომსახურების მიღებას), მას ხელშეკრულება გაუგრძელდება ახალი პირობებით და სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხარისათვის. თუ აბონენტი არ არის თანახმა ხელშეკრულების ახალ პირობებზე, ხელშეკრულება უქმდება 4.3 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. გადახდის პირობები

2.1. საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული საუბრების გადასახადის დაფარვა სავალდებულოა მიმდინარე თვის დასრულების შემდეგ. (ეს ვადა შეიძლება ინდივიდუალურად დადგინდეს კონკრეტული აბონენტის წერილობითი მომართვის საფუძველზე). თუ აბონენტი დავალიანებას დროულად არ დაფარავს, მას ტელეფონი ეთიშება.

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში მითითებულ ვადაში გაწეული მომსახურების თნხის გადაუხდელობის შემთხვევაში აბონენტს ტელეფონი გაეთიშება ცალმხრივად. დავალიანების თანხის ტელეფონის ცალმხრივად გათიშვიდან ორი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ტელეფონი გაითიშება ორმხრივად. შემდგომი ერთი თვის ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება შეწყდება.

2.3. ზემოთ აღნიშნული პროცედურების თავიდან ასაცილებლად (ხაზის ხშირი გათიშვა), განსაკუთრებით იმ აბონენტებისათვის, რომლებიც სისტემატურად იყენებენ საქალაქთაშორისო, საერთაშორისო და მობილურ კავშირებს, შესაძლებელი და რეკომენდირებულია წინასწარი გადახდა.

3.მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა

3.1. მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კანონმდებლობით, „მეწარმეთა შესახებ“ , „კავშირგაბმულობის შეშესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, რომლებიც არეგულირებენ ურთიერთობებს მეურნე სუბიექტსა და მომხმარებელს შორის.

3.2. ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუმეტეს 15 დღის განმავლობაში კორპორაცია უზრუნველყოფს აბონენტის ნომრის მიერთებას სატელეფონო სადგურთან. ხოლო უარის თქმის შემთხვევაში განცხადების მიღებიდაბ 5 სამუშაო დღის ვადაში ვიღებთ დასაბუთებულ დაგაწყვეტილებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და დაუყონებლივ ვაცნობებთ განმცხადებელს.

3.3. კორპორაცია ვალდებულია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სატელეფონო მომსახურება.

3.4. სატელეფონო საუბრებზე აბონენტთა პრეტენზია როგორც ზეპირი, ისე წერილობით მიიღება სატელეფონო საუბრის განხორციელებიდან 3 წლის განმავლობაში. აბონენტს განემარტება საჩივრის წარდგენისა და განხილვის წესი, „სიჯისის აბონენტთა საჩივრების განხილვის შესახებ“ დებულების შესაბამისად. პრეტენზია განიხილება 5 სამუშაო დღის ვადაში. აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად პასუხის გაცემა ხდება ზეპირი ან წერილობითი ფორმით.

3.5. დაზიანების აღმოფხვრის პირობები და ვადები განსაზღვრულია დანართი 2-ში, „სიჯისის“ მიზეზით მომსახურების მიუწოდებლობის (ან არასათნადო ხარისხით მიწოდების) შემთხვევაში გადაანგარიშება მოხდება ფაქტიურად გაწეული ხარისხიანი მომსახურების ვადების მიხედვით.

3.6. კორპორაცია უფლებამოსილია მე-3 მუხლის შესაბამისადაბონენტის მიერ დაუფარავ დავალიანებაზე მიმართოს სასამართლოს.

4 . ხელშეკრულების მოქმედებისა და მომსახურების გაწევის ვადები

4.1. **ხელშეკრულება ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვრიდან და ძალაშია 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**
მომსახურების გაწევის ვადაა 2021 წლის 1 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2 ხელშეკრულება იდება 1 (ერთი) წლის ვადით. თუ აბონენტმა ამ ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ათი დღისა წერილობით არ მიმართა კორპორაციის ადმინისტრაციას ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ- ხელშეკრულება გაგრძელდება იგივე ვადით და იგივე პირობებით.

4.3. ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივი შეწყვეტა შეიძლება თუ აბონენტი გამოთქვამს ამის სურვილს. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულების შეწყვეტამდე მან უნდა დაფაროს კორპორაციის წინაეშე ყოველგვარი დავალიანება, მათ შორის (დადგმის) გადართვის ღირებულება. გაუწეველი მომსახურებისთვის კორპორაცია აბონენტს შესაბამის თანხას უკან უბრუნებს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში.

4.4. კორპორაციას არ შეუძლია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა გარდა ამ ხელშეკრულების 2.2. პუნქტისა.

შენიშვნა: ამ ხელშეკრულების 4.2. 4.4. და 4.5. პუნქტებით გათვალისწინებულ შეთხვევებში, ხელშეკრულებოის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, კორპორაციას მატერიალური ვალდებულება აბონენტის წინაშე არ ეკისრება.

5. ფორს მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობიდან თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სეუსრულებლობა გამოწვეული იყო შემდეგი სახის გარემოებებით, როგორიცაა სტიქიური უბედურება, ხანძარი, ომი, სამთავრობო დადგენილება, ძირითადი საშუალებების გაქურდვა-დაყაჩაღება.

5.2. ფორს მაჟორად ითვლება კორპორაციის ავარიული სიტუაცია თუ ის შეიქმნა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

5.3. ვალდებულებების შესურულელობის შემთხვევაში მხარეები შესაძლო მოკლე ვადაში ატყობინენენ ერთმანეთს ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ ვადებს. ინფორმაცია შეიძლება გავრცელებული იქნას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითაც.

6. სხვა პირობები

6.1. ყველა დავა მხარეთა შორის წყდება ურთიერთშეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში – კომპანიაში საჩივრის შეტანის გზით ან/და სასამართლოს, საქ. კომუნიკაციის ეროვნულ კომისიასა და კომისიასთან მოქმედი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მეშვეობით.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“

სსიპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქ.რუსთავის სამუსიკო სასწავლებელი
ს/კ 216297166
მისამართი რუსთავი, ჭავჭავაძის ქ #14
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
GE24NB 0330 100 200 165 022
rusmusi@yahoo.com
დირექტორი *ნინა ნაჭყებია*

LEPL Outschool Art Educational Institution -Rustavi Music School
Digitally signed by LEPL Outschool Art Educational Institution -Rustavi Music School
Date: 2020.12.24 15:17:26 +04'00'

„მიმწოდებელი“

შპს საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაცია
მის:ქ.რუსთავი მეგობრობის გამზირი#2
ს/კ 204876081
GE41TB0200000360867289
GE25LB0113165619221000
გენერალური დირექტორი
ნანა შარაშენიძე

Central Georgian Communications Co.LLC
Digitally signed by Central Georgian Communications Co.LLC
Date: 2020.12.24 15:51:16 +04'00'

დანართი ხელშეკრულებაზე

ინტერნეტ მომსახურების პარამეტრები, მომსახურების ტიპისა და პაკეტების მიხედვით:

ოპტიკური ინტერნეტი	5 მბ/წმ	10 მბ/წმ	15 მბ/წმ
მაქსიმალური სიჩქარე	5 მბ/წმ	10 მბ/წმ	15 მბ/წმ
მინიმალური სიჩქარე	1 მბ/წმ	2 მბ/წმ	3 მბ/წმ
ფაქტობრივი სიჩქარე	4 მბ/წმ	8 მბ/წმ	15 მბ/წმ
ჯიტერი	<50 მილიწამი	<50 მილიწამი	<50 მილიწამი
დაყოვნება	<650 მილიწამი	<650 მილიწამი	<650 მილიწამი
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	<3%	<3%	<3%

ოპტიკური ინტერნეტი	70 მბ/წმ	80 მბ/წმ	90 მბ/წმ	100 მბ/წმ
მაქსიმალური სიჩქარე	70 მბ/წმ	80 მბ/წმ	90 მბ/წმ	100 მბ/წმ
მინიმალური სიჩქარე	14 მბ/წმ	16 მბ/წმ	18 მბ/წმ	20 მბ/წმ
ფაქტობრივი სიჩქარე	56 მბ/წმ	64 მბ/წმ	72 მბ/წმ	80 მბ/წმ
ჯიტერი	<50 მილიწამი	<50 მილიწამი	<50 მილიწამი	<50 მილიწამი
დაყოვნება	<650 მილიწამი	<650 მილიწამი	<650 მილიწამი	<650 მილიწამი
დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი	<3%	<3%	<3%	<3%